

# ემოტიკონი როგორც ემოციების გამოხატვის საშუალება გერმანულ ინტერნეტ ტექსტებში

ნინო შარაშენიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო  
ninisharashenidze@yahoo.com

ანოტაცია: უახლესი ტექნოლოგიების, და კერძოდ ინტერნეტის, განვითარების შედეგად აღმოცენდა ვერბალური ტექსტის ახალი სახეობა, რომელსაც დიგიტალური ტექსტი ეწოდება. ვინაიდან ამგვარი ტექტის არსებობა განპირობებულია იმით, რომ კომუნიკატორი და ადრესატი, როგორც წესი, დიდ მანძილზე იმყოფებიან და ვერ ხედავენ ერთმანეთის უშუალო ემოციებს, ფართოდ გავრცელდა ისეთი მოვლენა, როგორცაა ემოტიკონი, ანუ ტიპოგრაფიულ ნიშანთა კომბინაცია, რომელიც ემოციების გამოსახატავად გამოიყენება. მოცემულ სტატიის მრავალრიცხოვან მაგალითებზე განიხილება ემოტიკონის სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებები.

საკვანძო სიტყვები: ემოტიკონი, ვირტუალური კომუნიკაცია, ემოციური განწყობა, გერმანულ ინტერნეტ ტექსტი

## I შესავალი

კომუნიკაციის გარეშე ადამიანის ცხოვრება წარმოუდგენელია. განასხვავებენ ვერბალურ, არავერბალურ და პარავერბალურ კომუნიკაციას. ვერბალური კომუნიკაცია გულისხმობს ადამიანის მიერ წარმოთქმულ და შინაარსის მქონე სიტყვას, ენას, რომელიც შეიძლება იქნეს გამოხატული ზეპირად ან წერილობით. არავერბალური კომუნიკაციის დროს საუბარია ისეთ ურთიერთობაზე, რომელიც სრულდება არა სიტყვიერად, არამედ მიმიკით, უესტიკულაციით, ვიზუალური კონტაქტით ან ისეთი სიმბოლოების მეშვეობით, როგორცაა ტანსაცმელი, ვარცხნილობა და ა.შ. პარალინგვისტურ საშუალებებს კი განეკუთვნება საუბრის მანერა, არტიკულაცია, საუბრის ტემპი, ინტონაცია და პაუზები სინტაგმებს შორის. (1) როგორც ვ. ადმონი აღნიშნავს, ენის

უმთავრესი ფუნქციებია ადამიანთა შორის შეტყობინებათა გაცვლა და იმ ფორმის განსაზღვრა, რომელშიც ეს პროცესები მიმდინარეობს: „Im Leben der menschlichen Gesellschaft hat die Sprache zwei außerordentlich wichtige und unlöslich miteinander verbundene Hauptaufgaben zu erfüllen: Sie ermöglicht den Austausch von Mitteilungen unter den Menschen und bildet die Form, in der das menschliche Denken verläuft“ (2).

## II ემოციების გამოხატვა გერმანულ ინტერნეტ ტექსტებში

მეოცე საუკუნის დასასრულს და განსაკუთრებით ჩვენს საუკუნეში დიდი პოპულარობით სარგებლობს ე. წ. ვირტუალური კომუნიკაცია, რომელიც ძირითადად კომპიუტერებს შორის არსებულ ინტერნეტულ კავშირს ეფუძნება. მიუხედავად იმისა, რომ ვირტუალური კომუნიკაცია ძირითადად წერილობით ხორციელდება, მისთვის ასევე ზეპირი მეტყველებები ნიშან-თვისებებია დამახასიათებელი. ამგვარი სინთეზის არსებობა გამოწვეულია იმით, რომ მოუბარ პირთა დიალოგი სშირად ერთ დროითი ჩარჩოთა შემოფარგლული, როგორც ზეპირმეტყველების დროს. მეორეს მხრივ, ადრესატსა და რეციპიენტს ჰყოფს სივრცე. ვირტუალური კომუნიკაცია ჩატში სრულდება იმავე ტემპებითა და პაუზებით, როგორც ეს წერილობითი ტექსტისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა მისგან განსხვავებით ნაკლები დახვეწილობით გამოირჩევა, რაც, არც თუ იშვიათად გრამატიკული და ორთოგრაფიული შეცდომების არსებობას განაპირობებს. იქედან გამომდინარე, რომ დიალოგის პარტნიორები მეტყველების წარმოებისას ერთმანეთს ვერ ხედავენ, ისინი ქმნიან წარმოდგენას თავიანთ ვირტუალურ ადრესატზე არა ლოგიკის, არამედ ემოციის ბაზაზე.

ემოცია (ლათ.: ex “გარეთ, გარეთკენ, შიგნიდან” და motio “ მოძრაობა”) წარმოადგენს

ისეთ ფსიქოლოგიურ პროცესს, რომელიც გვევლინება ადამიანის რეაქციის სახით გარკვეულ სიტუაციაში ან თუ ისე ეხება სხვადასხვა ფსიქოლოგიურ და სულიერ დონეებს. წინა საუკუნის ბოლოს და ჩვენი საუკუნის დასაწყისში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ე. წ. ვირტუალური კომუნიკაცია, რომელიც ძირითადად კომპიუტერებს შორის არსებულ ინტერნეტულ კავშირს ეფუძნება. იქედან გამომდინარე, რომ მოუხარბი პირები ვერ ხედავენ ერთმანეთის რეაქციას დიალოგის რეპლიკებზე, ძალიან გავრცელდა ისეთი მოვლენა როგორცაა ემოტიკონი, რომელსაც უფრო ხშირად სმაილს უწოდებენ. ემოტიკონის გამოყენება ემოციების გამოხატავად ლაკონური, მაგრამ საკმაოდ მკაფიო კომპენსაციაა. Das Fehlen des emotionalen Hintergrunds kompensieren normalerweise die sog. Smiles. Unter Smiley [engl. to smile = lächeln] versteht man „Emoticon in Form eines kleinen, stilisierten, um 90 Grad gegen den Uhrzeigersinn gedrehten Gesichtes“ (3).

ემოტიკონის ისტორია უკვე 1963 წელს დაიწყო, როდესაც ამერიკელმა გრაფიკოსმა ჰარვეი ბელმა ყვითელწიწები შტრიხების მეშვეობით მომდინარე სახე დახატა. ეს იყო სადაზღვევო კომპანიის *State Mutual Life Assurance Cos. of America* შეკვეთა, რომელსაც მსგავსი ორიგინალური მეთოდით სამუშაო განწყობის გაუმჯობესება სურდა. თავად ჰ. ბელმა შრომისთვის მხოლოდ ორმოცდახუთი დოლარი მიიღო, ხოლო მოგვიანებით მას სერიოზული ბრძოლა დაჭირდა იმის დასამტკიცებლად, რომ სამილის ნამდვილი ავტორი სწორედ ის იყო. თანდათან ემოტიკონის მხარულმა სახემ ოთხმოცზე მეტი ქვეყანა დაოპერო. დღეს როგორც არასდროს ემოტიკონი ემოციების გამოხატვის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარ სასუალებათ იქცა.

ემოტიკონთა მოკლე აღწერა:

- :-) ღიმილი
- :-( განწყობა
- ;-) თვალის ჩაკვრა
- :’-( ტირილი
- :> სარკაზმი
- >:-> სულელური შენიშვნა
- :-O გაოცება
- :-o შიში
- :-D სიცილი
- :-P ენის სმაილი
- :-X დუმილი

- :-! ცუდი განწყობა
- :-I გამოხატავს მდგომარეობას „ეს არაა სასაცილო“
- :-/ სკეპტიკური ნაწყობა
- ’-:/ სარკაზმის უმაღლესი დონე
- :~-( ყმუილი
- :’-) სიხარულის ცრემლები
- :-\* კოცნა
- :-B არფრთოვანება
- :-c უბედური განწყობა
- :-C ძალიან ცუდი განწყობა
- (:-) ცაცია (4)

ემოტიკონის ეშვებით შესაძლებელია წინადადებაში იმპლიციტური ინფორმაციის ვარიანტები:

- კითხვა: *Hilfst du mir heute?*
- პასუხის ვარიანტები:
  - OK. (ნეიტრალური პასუხი)
  - OK ☺ (სიამოვნებით დაგეხმარები)
  - OK ☹ (იძლებული ვარ დაგეხმარო)
  - OK ;) (ამგვარი პასუხი კი სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს ინტერპრეტირებული)
  - ემოტიკონი დღეს ძალიან პოპულარულია და საკმაოდ ხშირად გამოიყენება ვირტუალურ კომუნიკაციაში. განვიხილოთ ზოგიერთი ინტერნეტიდან აღებული მაგალითი (5) (ფრჩხილებში მიმითებულია ჩემი განმარტებები):

მაგალითი1: "Swag" ist Jugendwort des Jahres Eine Jury aus Jugendlichen und Journalisten hat "Swag" zum "Jugendwort des Jahres 2011" gekürt. Der US-amerikanische Ausdruck aus der Rapmusik bezeichne eine "beneidenswerte, lässig-coole Ausstrahlung" oder "charismatisch-positive Aura", teilte der Langenscheidt Verlag mit.

- მაგალითი1: Was ist ein Swag? Swag? ScheissWAGen? :-> (სარკაზმი) Ich dachte das Jugendwort wäre Coca Cola, Pokomon oder Bam Oida, fix oida.
- (ნაღვლიანი განწყობა)
- მაგალითი 2: @ (გაბრაზება) Klartext. Laut Profil bist du schon biblische 27 Jahre, also steinalt! Als "jugendlich" zählst du damit

weder in den einschlägigen Discos, noch für die Privat-Sender, trage es also mit Fassung und (altersgerechter) Würde.

- მაგალითი 3: Was ist denn an dieser "Jugendsprache" cool@ (გაბრაზება)???????? Die meisten, die diese "coole Sprache " hier bei uns in Deutschland nutzen, sind nicht im Stande, Deutsch zu sprechen. Aber diese "Coole Sprache"!!!!
- Zum Kotzen, dieses ganze Rapgenuschel!! @ @ @ @ @ @ (ძლიერი გაბრაზება)
- მაგალითი 4: Johannesboy1: Ich bin 15, fail und swag hör ich oft aber guttenbergen? :-O (გაოცება) nieee gehört, und ich komm viel rum, hab ich nie gehört, und auch keiner meiner Freunde
- მაგალითი 5: Antigone: Na gut, damit ich auch mal was zum Thema sage: Es gibt schon eine Menge guter und witziger Jugendwörter. Swag gehört meiner unmaßgeblichen Meinung nach allerdings nicht dazu. Denn Stil haben Ausdrücke nur dann, wenn es eigensprachliche Kreationen sind. Anglizismen sind nur was für geistig Minderbemittelte, die sich profilieren wollen :-> (სარკაზმი).

მაგალითი 6: Wie kann denn das sein?! :-D (სიცილი) ემოტიკონი დღეს ძალიან პოპულარულია

და საკმაოდ ხშირად გამოიყენება ვირტუალურ კომუნიკაციაში. განვიხილოთ ზოგიერთი ინტერნეტიდან აღებული მაგალითი (ფრჩხილებში მიმოთებულია ჩემი განმარტებები)

### III დასკვნა

ამგვარად ემოტიკონი ვირტუალური კომუნიკაციის ფაკულტატიური, მაგრამ საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილია. იგი შედგება გრაფიკული ელემენტებისაგან და გამოხატავს იმპლივიტურ ინფორმაციას ადამიანის ემოციური განწყობის შესახებ, რომელიც უშუალო კომუნიკაციის შთაბეჭდილებას ტოვებს.

### ლიტერატურა

- [1] Admoni W.: Der deutsche Sprachbau: Moskau: Prosvesstchenie, S. 7
- [2] Enehöh U.: Verbale und nonverbale Aspekte der Kommunikation bei G. H. Mead, Otto-Friedrich-Universität Bamberg, S21.
- [3] Hartman M.: Gefühle. Wie die Wissenschaften sie erklären. Frankfurt a. Main: Campus, S. 184.
- [4] <http://de.wiktionary.org/wiki/Verzeichnis:ASCII-Smileys>
- [5] <http://www.bild.de/ratgeber/2011/wort/jugendwort-des-jahres-2011-swag-coole-ausstrahlung-21389282.bild.html>

